ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერია
G E O R G I A
CITY HALL OF LAGODEKHI MUNICIPALITY

წერილის ნომერი: **92-92222033**
თარიღი: **22/07/2022**

ადრესატი: ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო

წარმოგიდგენთ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის "სამართლებრივი უზრუნველყოფისა და ზედამხედველობის სამსახურის ანგარიშს" (01.01.2022 – 30.06.2022 წლები).

საანგარიშო პერიოდში სამსახურს დაეწერა შემოსული/შიდა მიმართვა/განცხადება -2920 (ორი ათს ცხრაას ოცი) კორესპონდენცია რომელთაგანაც 90% შესრულდა - მომზადდა ბრძანების პროექტი, გაცემული იქნა შესაბამისი პასუხი ან გადამისამართდა სხვა სამსახურში რეაგირებისათვის, ხოლო 10% მიმდინარე წარმოებაშია.

საანგარიშო პერიოდში სულ მომზადებული/დავიზებული იქნა მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის - ბრძანების - 1580 (ათს ხუთას ოთხმოცი) პროექტი. ხოლო სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე გამოცემულია სულ -38 (ოცდათვრამეტი) ინდივიდუალური ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტი. საკრებულოს ინდივიდიუალური ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის - განკარგულების -19 (ცხრამეტი) პროექტი და საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის - დადგენილების- 11 (თერთმეტი) პროექტი. სამართლებრივი დახმარება გაეწიათ მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურების, ადმინისტრაციულ ერთეულებში დასაქმებულ თანამშრომლებს, მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების თანამშრომლებს, ასევე 1 000 -ზე მეტ მოქალაქეს სხვადასხვა შინაარსის საკითხზე, მათ შორის ქონების/ მიწის გამარტივებული წესით რეგისტრაციასთან დაკავშირებით.

სამსახურის მიერ მომზადებული იქნა სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული ხელშეკრულების -8 (რვა) სამართლებრივი ფორმა.

რაიონულ სასამართლოში განიხილებოდა სულ - 59 (ორმოცდაცხრამეტი) საქმე (აქედან 29 აღიარების კომისიის), ამასთან, ლაგოდეხის მაგისტრატ სასამართლოში განიხილებოდა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის -6 (ექვსი) საქმე, რომელთაგან- 5 (ხუთი) საქმეზე მოპასუხე მხარე ცნობილი იქნა სამართალდამრღვევად, ხოლო -1 (ერთი) საქმე ჯერ კიდევ სასამართლო წარმოებაშია.

სამართლებრივი უზრუნველყოფისა და ზედამხედველობის სამსახურის მიერ გატარებული ღონისძიებებიდან (სამართალდარღვევები), სანქციების სახით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევების გამო, შენობა-ნაგებობების მესაკუთრეების მიერ გადახდილია ჯარიმის სახით სულ - 26 401 (ოცდაექვსი ათას ოთხას ერთი) ლარი. სამსახურის მიერ ინტენსიურად ხორციელდება ადგილობრივი მოსაკრებლების ადმინისტრირება, რომელიც შეეხება ძირითადად სანებართვო მოსაკრებელსა და დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებელს. საანგარიშო პერიოდში სამსახურის მიერ ამოღებულია ადგილობრივი მოსაკრებელი სულ - 122 415 ლარის ოდენობით, საიდანაც მშენებლობის სანებართვო მოსაკრებელი -16 416 ლარი, დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებელი -105 999 ლარი, შედარებისთვის 2022 წლის ბიუჯეტის გეგმის მიხედვით დასუფთავების მოსაკრებლის ამოღების მაჩვენებელი განსაზღვრულია -120 000 (ასოცი ათასი) ლარის ოდენობით.

საანგარიშო პერიოდში სამსახურის მიერ ექსპლუატაციაში იქნა მიღებული / ვარგისად იქნა

აღიარებული -63 (სამოცდასამი) შენობა ნაგებობა, ხოლო დღეის მდგომარეობით სამსახურის თანამშრომლების მიერ მონიტორინგი ხორციელდება -118 (ას თვრამეტი) სამშენებლო პროექტზე.

ამასთან, შესაძლო სამართალდარღვევის (იგულისხმება სანებართვი პირობების დარღვევა) თავიდან აცილების მიზნით სამსახურში დანერგილია წინასწარი წერილობითი შეტყობინებების გაგზავნის პრინციპი, რომელიც იგზავნება სისტემატიურად, ხოლო ახალი სამშენებლო კოდექსიდან გამომდინარე დაინერგა მშენებლობის ეტაპობრივი მონიტორინგი და სამუშაოების ეტაპობრივად ჩაბარების სისტემა, რამაც მნიშვნელოვნად შეამცირა სამშენებლო სამართალდარღვევების ფაქტები.

მუნიციაპლიტეტის მასშტაბით უნებართვო მშენებლობების პრევენციის მიზნით საანგარიშო პერიოდში გატარდა ცნობიერების ასამაღლებელი ღონისძიებები, კერძოდ დაიბეჭდა ფლაერები, საიდანაც მოქალაქეები იღებენ ინფორმაციას მშენებლობის ნებართვას დაქვემდებარებული სამშენებლო საქმიანობის, ნებართვის გამცემი ორგანოსა და უნებართვო მშენებლობის/დემონტაჟის შემთხვევაში სამშენებლო სამართალდარღვევისათვის კანონით გათვალისწინებული სანქციების თაობაზე. ფლაერები ამ ეტაპისთვის დარიგებულია ლელიანის ადმინისტრაციულ ერთეულში, აღნიშნულ პროცესში აქტიურად იყო ჩართული როგორც „სამართლებრივი უზრუნველყოფისა და ზედამხედველობის სამსახურის“, ასევე მერიის „არქიტექტურის განყოფილების“ თანმანშრომლები, მერის წარმომადგენელი, ადმინისტრაციულ ერთეულში სპეციალისტები და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია სოფელში მცხოვრები ახალგაზრდები. ფლაერების დარიგება ეტაპობრივად გაგრძელდება მუნიციპალიტეტის ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში, ვინაიდან მუნიციპალიტეტის მერიის მიზანია უნებართვო მშენებლობის ფაქტებისა და სამშენებლო სამართალდარღვევების შემცირება.

სამსახურის მიერ დასუფთავების მოსაკრებლის ამოღების გაუმჯობესების მიზნით დანერგილია ელექტრონული პროგრამა, შექმნილია აბონენტების ერთიანი ელექტრონული ბაზა, რაც უზრუნველყოფს აბონენტებთან sms -ს შეტყობინებების გაგზავნას და სწრაფი გადახდის აპარატების საშუალებით დასუფთავების მოსაკრებლის გადახდის შესაძლებლობას. უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამამ მარტივი და მოქნილი გახადა დასუფთავების მოსაკრებლის გადახდა, ვინაიდან მოქალაქეებს აღარ უწევთ დამატებითი ფინანსური და დროის რესურსის ხარჯვა. მის მიერ შეტანილი თანხა სრულად აისახება აბონენტის ანგარიშზე. ამ ეტაპზე მიმდინარეობს დასუფთავების მოსაკრებლის ქვითრის საშუალებით გადახდის მეთოდის დანარეგვა, რაც კიდევ უფრო მოქნილს გახდის დასუფთავების მოსაკრებლის ამოღების სისტემას და გაზრდის ამოღებული მოსაკრებლის ოდენობას.

სამსახურის თანამშრომლები მუდმივ რეჟიმში ახორციელებენ ნარჩენების მართვის მონიტორინგს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე. მიუხედავად საყოფაცხოვრებო ნარჩენების ინტენსიური რეჟიმით გატანისა, რიგ ადგილებში მაინც შეიმჩნევა ტერიტორიის დაბინძურება და თვითნებური ნაგავსაყრელების არსებობა. შესაბამისად, თვითნებური ნაგავსაყრელების შექმნის პრევენციის მიზნით, მუნიციპალიტეტის მასშტაბით განთავსებულია როგორც ფოტოხაფანგები ასევე გამაფრთხილებელი ბანერები. სულ ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით განთავსებულია 4 ფოტოხაფანგი და 65 ბანერი.

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უპატრონო ძაღლების მომრავლების გამო, ცხოველთა უპატრონოდ მიტოვების თავიდან აცილების მიზნით გამაფრთხილებელი ბანერები დაიდგა მუნიციპალიტეტის ცალკეულ ადგილებში, ასევე სამსახურს მჭიდრო კავშირი აქვს ა(ა)იპ „მიუსაფარი შინაური ცხოველების მართვის კახეთის ინტერმუნიციპალურ სააგენტოსათან“, ეტაპობრივად ხდება მომრავლებული ძაღლებისაგან როგორც ქალაქის, ასევე ადმინისტრაციული ერთეულების განტვირთვა და მათი გადაყვანა მუნიციპალიტეტის შედარებით დაუსახლებელ ტერიტორიაზე.

სამსახურის თანამშრომლების მიერ მომზადებული იქნა -10 (ათი) დასკვნა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდგარი ხეების მოჭრა - გადაბელვასთან დაკავშირებით, რომელიც შესასრულებლად გადაეგზავნა ა(ა)იპ „ლაგოდეხის სერვის ცენტრს“.

სამსახურის მიერ ინტენსიურად ხორციელდება ა(ა)იპ „ლაგოდეხის სერვის ცენტრის მიერ შესრულებული სამუშაოების მონიტორინგი, რომელიც შეეხება არა მარტო ხეების ჭრა/ვარჯირების საკითხს, არამედ სანიაღვრე არხების, ტერიტორიების გასაუფთავება/ მოსწორების სამუშაოებს წინასწარ შედგენილი დეფექტურ აქტთან მიმართებაში.

საანგარიშო პერიოდში ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოვიდა საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის შესახებ - 48 (რმოცდარვა) განცხადება, დაკმაყოფილდა მოთხოვნილი ინფორმაციის მიწოდებაზე - 44 (ორმოცდაოთხი), უარი ეთქვა ინფორმაციის მიწოდებაზე პერსონალური ინფორმაციის არსებობის გამო- ერთ განცხადებაზე, ერთ შემთხვევაში მოთხოვნა დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. ხოლო

ამ ეტაპზე მიმდინარე განცხადების რაოდენობაა - 2 (ორი). მოთხოვნილ განცხადებებზე დადებითი ან/და უარყოფითი პასუხები გაცემული იქნა კანონით დადგენილი წესისა და ვადების დაცვით. საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შემთხვევაში დაინტერესებული მხარის მიერ გადაწყვეტილება არ გასაჩივრებულა კანონით დადგენილი წესით.

აღსანიშნავია, რომ სამსახურის თანამშრომლები და სამსახურის უფროსი დამატებით ჩართულები არიან მერიაში შექმნილ არაერთ კომისიებსა თუ სამუშაო ჯგუფებში.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოვრების ფაქტის დამდგენი კომისიის მიერ განხილულია სულ 3 (სამი) განცხადება, აქედან 2 (ორი) შემთხვევაში დადგინდა დაინტერესებული პირის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოვრების ფაქტი. ხოლო ერთ შემთხვევაში დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე მოთხოვნა დარჩა განუხილველად.

სამსახურის თანამშრომლები ჩართულები არიან სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებების შესრულების კონტროლის მიზნით შექმნილ „სამშენებლო ინსპექტირების ჯგუფში, შესაბამისად, საანგარიშო პერიოდში თანამშრომლების მიერ კონტროლდება -68 (სამოცდარვა) ხელშეკრულება, რომელიც შეეხება როგორც სამუშაოების ასევე მომსახურების შესყიდვას.

ჯონდო მდივნიშვილი

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი